

# სოციალური მეწარმეობა როგორც ინოვაციური სტარტაპი

გირგვლიანი სალომე – დოქტორანტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

## Social Entrepreneurship as an Innovative Startup

*Giorgviani Salome – PhD Student, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

### Abstract

**Introduction and aim:** Social entrepreneurship is a business with social mission. It is becoming increasingly popular throughout the world accordingly the practice of its implementation is diverse. The term "social entrepreneurship" implies a variety activity in economic, profit of which serves for the positive social changes in the country.

**Research methodology:** The methodology chosen in the process of studying any issue, determines its success and the adequacy of the results. Social research involves collecting, organizing and analyzing data. During the working on this theme, the preferences were given to the quantitative research method, that was used to analyze statistical data, content analysis of mass surveys and results of social experiments.

**Results and implications:** In the recent decade important economic reforms have been implemented in Georgia, the aim of which have been to provide favorable and convenient environment for business making and direct foreign investment, liberalization of economic system, lightening tax payment obligation and decreasing the number of administrative barriers, improving public services by way of fighting corruption. These mentioned positive changes encouraged the establishment and development of social entrepreneurship.

**Conclusion:** Supporting innovative approaches for the development of social entrepreneurship will necessarily result in the solving of social-economic problems.

**Keywords:** social entrepreneurship, business, innovative, startup

### აბსტრაქტი

**მესავალი და მიზანი:** სოციალური მეწარმეობა ეს არის ბიზნეს მიდგომა სოციალური მიზნებისთვის. ის თანდათან უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოს მასშტაბით, შესაბამისად მრავალფეროვანია მისი განხორციელების პრაქტიკა. ტერმინი „სოციალური მეწარმეობა“ გულისხმობს სხვადასხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობას, რომლის მიერ მიღებული მოგება ემსახურება დადებითი სოციალური ცვლილებების განხორციელებას ქვეყანაში.

**კვლევის მეთოდოლოგია:** ნებისმიერი საკითხის შესწავლისას, არჩეული კვლევის მეთოდოლოგია მის წარმატებასა და შედეგების ადეკვატურობას განსაზღვრავს. სოციალური კვლევა მონაცემების შეგროვებას, ორგანიზებას და ანალიზს გულისხმობს. აღნიშნულ თემაზე მუშაობისას უპირატესობა მიენიჭა რაოდენობრივი კვლევის მეთოდს, რომლის ფარგლებშიც გამოყენებულ იქნა სტატისტიკური მონაცემების, მასობრივი გამოკითხვების და სოციალური ექსპერიმენტების შედეგების კონტენტ-ანალიზი.

**შედეგები და გამოყენება:** ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები განახორციელა, რომელთა მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერალიზაციის, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირების, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების, კორუფციასთან ბრძოლისა და სხვა გზებით. აღნიშნულმა პოზიტიურმა ცვლილებებმა წაახალისა და ხელი შეუწყო სოციალური მეწარმეობის ჩამოყალიბებას და განვითარებას.

**დასკვნა:** სოციალური მეწარმეობის განვითარებისათვის ინოვაციური მიდგომების მხარდაჭერა აუცილებლად უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევას.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური მეწარმეობა, ბიზნესი, ინოვაცია, სტარტაპი

სოციალური მეწარმეობა ეს არის ბიზნეს მიდგომა სოციალური მიზნებისთვის. ის თანდათან უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოს მასშტაბით, შესაბამისად მრავალფეროვანია მისი განხორციელების პრაქტიკა. ტერმინი „სოციალური მეწარმეობა“ გულისხმობს სხვადასხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობას, რომლის მიერ მიღებული მოგება ქვეყანაში დადებითი სოციალური ცვლილებების განხორციელებას ემსახურება.

სოციალური მეწარმეები არიან ნოვატორები, რომელთაც გააჩნიათ ინოვაციური მიდგომები მწვავე სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. ისინი ანვითარებენ თანამედროვე მიდგომებს, ახალი პროდუქტებისა და სერვისების საშუალებით, სოციალური სირთულეების მოსაგვარებლად. ინოვაციური ინიციატივების საშუალებით აღწევენ პოზიტიურ ცვლილებებს არა მარტო ცალკეული ინდივიდის სასარგებლოდ, არამედ ხელს უწყობენ ფართო მასშტაბიან ეკონომიკურ პროგრესს.

საქართველოს მთავრობის მიერ არაერთი სოციალური პროექტის განხორციელების მიუხედავად ქვეყანაში უმუშევრობა და სიღარიბე კვლავ უმთავრეს პრობლემად რჩება. ამ ფონზე კიდევ უფრო მძიმეა დევნილების, მზრუნველობას მოკლებული ბავშვების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მდგომარეობა. ფაქტია, აღნიშნული საკითხი კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას უსახლკარო და შშმ პირების უმუშევრობის მოსაგვარებლად. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური საწარმოების სფეროების არეალი მრავალფეროვანია და მათი მისია სხვადასხვა ასპექტებს მოიცავს, ევროპაში განსაკუთრებით აქტუალურია საწარმოები, რომელთა მთავარ ფუნქციას შრომითი ინტეგრაცია წარმოადგენს. ეს დასაქმების კარგ შანსს და საშუალებას აძლევს ისეთ მიზნობრივ ჯგუფებს, რომლებიც არაკონკურენტულ მდგომარეობაში არიან შრომის ბაზარზე.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საუკეთესო გზას სოციალური მეწარმეობის წახალისება წარმოადგენს. 2011 წელს ევროკომისიამ გაავრცელა ინფორმაცია მათი ინიციატივის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური მეწარმეობის ხელშემწყობი გარემოს შექმნას ევროკავშირის ქვეყნებში. სოციალური საწარმო ახორციელებს სოციალურ მისიას შემოსავლის მომტანი სტრატეგიებით, ანუ ეს არის ბიზნეს პრინციპით მოქმედი ორგანიზაცია, რომლის მოგება მხოლოდ ფინანსური სარგებლით არ განისაზღვრება.

საქართველოში ფუნქციონირებს სოციალური მეწარმეობის ცენტრი, რომლის მიზანია სოციალური ცნების დამკვიდრება და პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა ქვეყანაში. ამ მიზნის მისაღწევად ცენტრი დაინტერესებული პირებისთვის მართავს ტრენინგებს და კონსულტაციებს, სადაც ისინი ღებულობენ თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ რჩევებს და ეცნობიან მათთვის საინტერესო სიახლეებს საკითხის ირგვლივ. სოციალური მეწარმეობის ქართულ გარემოსთან უკეთ მოსარგებად ცენტრი მუშაობს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე.

სოციალური მეწარმეობის 2015 წლის ფორუმზე, რომელიც ყოველწლიურად ტარდება საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ პარტნიორ

ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მონაწილე სოციალური მეწარმეების მიერ გამოითქვა სურვილი ალიანსის დაფუძნების შესახებ. 2016 წლის 8 ნოემბერს დაფუძნდა „სოციალურ საწარმოთა ალიანსი“. ალიანსის მისიაა საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობი გარემოს შექმნა, რაც უზრუნველყოფს მოქმედი საწარმოების მდგრადობას და ახალი სოციალური საწარმოების ინიცირებას. ალიანსი წარმოადგენს სოციალურ საწარმოთა ერთიან პლატფორმას, რომელიც ხელს უწყობს წევრების ერთობლივი ინტერესების დაცვას, საზოგადოებაში სექტორის ცნობადობის ზრდას, გამოცდილების გაზიარების და სექტორებს შორის თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების განვითარებას.

2012 წლიდან ყოველწლიურად მიმდინარეობს კონკურსი „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად“, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებში სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაციას და სტუდენტების აქტიურ ჩართულობას, რათა ახლოს გაეცნონ და მოსინჯონ საკუთარი ძალები ამ სფეროში.

სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით და ევროკავშირის დაფინანსებით ამჟამად მიმდინარეობს პროექტი – „სოციალური მეწარმეობა – ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისთვის 2016 – 2018“. პროექტს ახორციელებს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი პარტნიორობითან ერთად. ყოველწლიურად ცხადდება იდეების კონკურსი – „იდეების აქსელერატორი“ სოციალური საწარმოს დაფუძნების მსურველთათვის.

2016 წელს გაიმართა სოციალური მეწარმეობის ფორუმი, სადაც პირველად გამოვლინდა ნომინაცია „წლის სტარტაპ სოციალური საწარმო“, რომლის გამარჯვებულებიც გახდა „არაბულების ხელოვნების სახლი“ იგივე „არაბული არტჰაუსი“, რომელიც წარმოადგენს ტრადიციული რეწვის სახელოსნოს, მდებარეობს მაღალმთიან რეგიონში, ხევსურეთში, სოფელ კორშაში. მისი მთავარი ფუნქცია არის ხევსურეთში არსებული ეთნო, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კვლევა, შესწავლა, შენახვა, განვითარება, მისი სწავლება-გადაცემა მომავალი თაობებისთვის და ადგილობრივი მოსახლეობს დასაქმება. საგვარეულო ბრენდი აქტიურად მუშაობს წარმოების გაფართოებისთვის და პროდუქციის საქართველოს საზღვრებს გარეთ გასატანად.

სამწუხაროდ, საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების რაოდენობა ჯერ-ჯერობით საკმაოდ მცირეა, თუმცა მათი პროდუქცია გამოირჩევა მაღალი ხარისხით და მრავალფეროვნებით. რამოდენიმე მათგანმა უკვე დაიმკვიდრა თავისი სახელი ქართულ ბაზარზე. 2016 წელს სოციალურმა საწარმომ „თუშეთი“ გაიმარჯვა ნომინაციაში „ყველაზე მეტი დასაქმებული ქალი“. ამ საწარმოში დასაქმებული ქალებისთვის ეს დიდი წარმატებაა. საწარმოში ხორციელდება თექის გადამუშავება და მისგან სხვადასხვა ნივთების დამზადება. აღნიშნული პროდუქცია სრულიად უვნებელი და უსაფრთხოა.

წარმატებული სოციალური საწარმოს კიდევ ერთი მაგალითია ხალხური რეწვის სახელოსნო – „იკორთა“. ის 2011 წელს წეროვანში დაარსდა. სწორედ აქ გადმოსახლდნენ იძულებით გადაადგილებული პირები 2008 წელს. „იკორთა“-ში დასაქმებული პირები

დევენილები არიან. საწარმოს მიზანია ტრადიციული რეწვის დარგის პოპულარიზება და სოციალური საწარმოს მდგრადობის უზრუნველყოფა. მინანქრის სამკაულების გაყიდვის მაჩვენებელი თანდათან მზარდია. საწარმოს დასაქმებული ყავს ათი ადამიანი.

2011 წელს დაარსდა სოციალური საწარმო „ლელი“, რომელიც სოფელ ლელიანში თაფლის წარმოების განვითარების პოტენციალმა განაპირობა. საწარმოს მიზანია მისი ფინანსური სტაბილურობა და მეფუტკრეობის პოპულარიზება. საწარმოს წარმატება განაპირობა ერთის მხრივ ნატურალურ თაფლზე მოთხოვნილების სიდიდემ და მეორეს მხრივ, საქართველოში ადგილობრივი წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქციასთან მიმართებაში ლოიალურმა საგადასახადო პოლიტიკამ. შესაბამისად საწარმოს შეეძლო მოგების დიდი ნაწილი ისევ „ლელის“ მიზნების განხორციელებისათვის მიემართა. აღნიშნულ საწარმოში რამოდენიმე ათეულ ახალგაზრდას მიეცა შესაძლებლობა შეესწავლა მეფუტკრეობა და დასაქმებულიყო, შესაბამისად გაუმჯობესდა მათი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამჟამად „ლელი“ აწარმოებს რამოდენიმე ასეულ კილოგრამ თაფლს როგორც სარეალიზაციოდ, ისე საქველმოქმედო მიზნებისთვის. შედეგად, სოციალური საწარმო სრულად ფარავს საკუთარ ხარჯებს და ფუნქციონირებს დამოუკიდებლად, სხვადასხვა ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერის გარეშე.

სოციალური ბიზნესის განვითარებისთვის საზოგადოების ჩართულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ასევე აუცილებელია გაიზარდოს ახალგაზრდობის დაინტერესება აღნიშნული საკითხით, რაც სოციალურ-ეკონომიკურ ფონს კიდევ უფრო გააუმჯობესებს. მნიშვნელოვანია საბანკო სექტორის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა სოციალური კრედიტების სახით. სოციალური კრედიტი წარმოადგენს სასესხო პროდუქტს, რომლის მიზანია ბიზნეს უნარ-ჩვევების გაძლიერება და სოციალურ საწარმოთა ფინანსური თვითუზრუნველყოფის ამაღლება. ბოლო პერიოდში ქართული კომპანიების მიერ შეინიშნება სოციალური პროგრამების განხორციელება, თუმცა უმეტეს შემთხვევაში მათ ერთჯერადი სახე აქვს. საქართველოში მოქმედი ძლიერი და კარგი რეპუტაციის მქონე კომპანიების მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის დონე ჯერ კიდევ დაბალია. სოციალური საწარმოს ევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ასპექტია მათ მიერ გამოწვეული პრობლემების მზარდი მრავალფეროვნება. დღესდღეობით, სოციალური საწარმოები მსოფლიო ბაზრებზე, სრული ინდუსტრიის მასშტაბით ებრძვიან არსებულ სოციალურ გამოწვევებს.

სოციალურად დაუცველი ფენებისთვის არაერთი დახმარების პროგრამა არსებობს, თუმცა სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა თავისი არსით ბევრად მეტია, ვიდრე ერთჯერადი ფინანსური დახმარება. ის საშუალებას აძლევს შეჭირვებულ ადამიანებს მოახდინონ მათი შესაძლებლობების რეალიზება, მიიღონ ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, დასაქმდნენ, საკუთარი შრომით გამოიმუშაონ შემოსავალი და მოახდინონ საზოგადოებაში ინტეგრაცია. ამ გზით საზოგადოება თვითონაც ერთვება არსებული პრობლემების მოგვარებაში და ხდება უფრო ქმედითი, რაც საქმის ეფექტურობას კიდევ უფრო ზრდის.

დიადი იდეები დიდ მხარდაჭერას საჭიროებს. სოციალური საწარმოები სტარტაპებს აძლევს სოციალური ზემოქმედებისა და ფინანსური მდგრადობის მიღწევის საშუალებას. სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია დაინტერესებული ახალგაზრდა მეწარმეების ინოვაციური იდეების დაფინანსება, შეღავათიანი კრედიტების უზრუნველყოფა და ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის ხელშეწყობა.

**გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:**

1. <http://segeorgia.org/index.php?ID=1>
2. <http://cse.newsgator.ge/info.php?ID=10>
3. <https://www.marketer.ge/arabulebis-xelovnebis-saxli-kult-memkvidreoba/>
4. <https://yourstory.com/2016/04/lean-startup-principles-social-entrepreneurs/>
5. <http://crystal.ge/ka/255/social-projects>
6. <http://bfm.ge/?p=24407>
7. <http://cse.newsgator.ge/pinfo.php?CID=30>